ორგანიზაციის მისია და პოლიტიკა სამუშაო გარემოს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სფეროში

ჩვენი მისიაა

სამთო მოპოვებითი საქმიანობის განხორციელება, რითაც ხელს შევუწყობთ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას.

ჩვენი ხედვაა

უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დახმარებით, სოციალური პასუხისმგებლობის აღებით და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვით ჩვენს მიერ მოპოვებული ბუნებრივი რესურსები გამოყენებული იქნეს ქვეყნის წარმატებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

ჩვენი მიზანია

ოპერირების ინოვაციური გზების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. ჩვენი ორგანიზაციის პრიორიტეტული მიზანია კომპანიაში დასაქმებული პერსონალისთვის შექმნას ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო გარემო. ორგანიზაციის მმართველი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობას იღებს, მუდმივად იმუშაოს ორგანიზაციის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების ნდობის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით რეგულარულად იმუშაოს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OH&S) სისტემის გაუმჯობესებასა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობაზე, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს საწარმოო შემთხვევების, საწარმოო ტრამვების და ინციდენტების შემცირებისათვის.

ამოცანები და სტრატეგიული მიმართულებები შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის (OH&S) სფეროში

ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებებია: დანერგილი და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებული OH&S-ის ეფექტურობის და შედეგიანობის შეფასება და მუდმივი გაუმჯობესება; სტრატეგიის და მიზნების სწორი დაგეგმვა; პერსონალის, კლიენტების, კონტრაქტორების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების მიმართ სისტემური მიდგომა; რისკების დაგეგმვა და საგანგებო კრიზისული სიტუაციების ეფექტურად მართვა საწარმოო ტრავმების მინიმიზაციის მიზნით.

პოლიტიკის განხორციელებისათვის ორგანიზაციას დასახული აქვს შემდეგი მიზნები:

შეფასებული მაღალი დონის რისკების შემცირების დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება;

◆

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საწარმოო ინციდენტების და „near miss“-ის მინიმუმამდე შემცირების მიზნით; ტრავმების, თანამშრომელთა ჯანმრთელობის გაუარესებისა და ქონება-აღჭურვილობის დაზიანების თავიდან აცილება;

◆

პროცესების გაუმჯობესება OH&S აუდიტების/ინსპექტირების შედეგებისა და შეუსაბამობების სწორი მართვით; შრომის უსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო მიღწევების, ტექნოლოგიებისა და მეთოდების დანერგვა;

◆

სახიფათო საწარმოო ობიექტებზე უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების რისკის შემცირება;

◆

პერსონალის კომპეტენტურობის და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების მუდმივი გაუმჯობესება, შიდა კომუნიკაციებისა და პერსონალთან კონსულტაციების გაუჯობესება; დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენლების აქტიური ჩართვა შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის და ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა;

◆

OH&S მართვის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების კულტურის განვითარების გზით.